საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

პარასკევი აპრილის 29

1921 წ.

ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე"
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 3000 მან.

შაბათს, აპრილის 30-ს 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი სოფ. ნასპერში (ლეჩხუმი) გარდაცვლილ საყვარელ

**დიმიტრი (დიმა) ვლადიმერის ძის ახვლედიანის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ექიმი დიმიტრი თომას ძე და ელისაბედ გიორგის ასული ახვლედიანები შვილებით. 922

მოულოდნელი ამბით უზომო მწუხარებაში მყოფნი: გულმოკლული ბლმზრდელი მამიდა ბარბალე ვახუშტის ასული, ბიძია მაქსიმე ოტიას ძე, მამიდაშვილები ალექსანდრე და ნატაშა, რძალი ზენკა იორამის ასული, პატარა ანდრო შალრაძეები გულისტკივილით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მათი ძვირფასი და საყვარელი მუდამ დაუვიწყარი ინჟინერი

**კოტე გიორგის ძე ვეფხვაძე**

6-წლის გადაკარგული. გარდაცვლილა. ქ. დვინსკში 1920 წ. თებერვლის 20 917

მწუხარებით დაჩაგრული მეუღლე მირიან ბესარიონისძე უნგიაძე, შვილი ნოე, და ნინა აუწყებენ მეგობართ და ნათესავთ, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**ლიუდმილა ნოეს ასული უნგიაძის**

გარდაცვალების ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი. იქნება მაისის 2 წმ. ნინოს ეკლესიაში. 896

ქაიხოსრო იასონის ძე და ოლგა იოსების ასული ქავთარაძეები შვილებით მარგარიტათი და ლიზიკოთი გამოუთქმელის მწუხარებით აცნობებენ ნათესავებსა და ნაცნობებს ძვირფას ძმისწულისა და ბიძაშვილის

**ელენე ტერენტის ასულის უუგანეიშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, გამოსვენება შაბათს 30 აპრილს დილის 10 საათზე საკუთარი ბინიდან ნორიოს აღმართი სახლი № 9 კუკის წმ. ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავად.

ტერენტი იასონის ძე, მეუღლე მისი ივლიტა თეიმურაზის ასული შვილებით დომინიკეთი და გივით, მღ. იასონ ხოსიას ძე და ნატალია ლუარსაბის ასული, გალაქტიონ იასონის ძე და მეუღლე მისი მარგარიტა ქავთარაძეები გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნაცნობებსა და კეთილებს

**ელენე ტერენტი ქავთარაძის ასულის უუგანეიშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება შაბათს აპრილის 30 დილით 10 საათზე საკუთარი ბინიდან ნორიოს აღმართი სახლი № 9. კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავად.

**სოფრ. მლახაშვილის**

**თხზულებანი ტ. II**

მოთავსებულია რომანი „უცნაური", მოთხ. და პიესები, იყიდება წერა-კითხვის საზ. მაღაზიაში.

იქვე: მისი I ტომი, ნოტები ვაჟას გარდაცვლაზე არაყიშვილისა და ბუხჰალტერია. 920

## ფურცლები

19.-

**ევროპის რევოლიუციის ხაფუძველნი**

ევროპის კაპიტალიზმის ერთი საფუძველი-ნახშირეული ინგრევა, იშლება,ეცემა. ეხლა ავიღოთ მეორე უმთავრესი ძალა ყოველი დიდი მრეწველობისა—ნავთის საქმე. ნავთი გაცილებით მეტ ადგილს იჭერს თანამედროვე წარმოებაში ვიდრე ნახშირი.

გერმანიის წარმომადგენლობის ცნობით ნახშირის ერთი კუბიკური მეტრი იწონის 800 კილოგრამს და შეიცავს სითბოს 5,8 მილლიონ კალორიას, როცა იმავე წონის ნავთი შეიცავს 8,4 მილიონ კალორიას.

ამას გარდა ნავთს აქვს მრავალი უპირატესობა ყველა სხვა სათბობ მასალასთან. მაგრამ თავი გავანებოთ საკითხის ამ მხარეს.

რა ამბავი ხდება მრეწველობის ამ სასიცოცხლო დარგში? ხდება ჩვეულებრივი მოვლენა. ილუპება ევროპიულ მრეწველობა და იფურჩქნება ევროპის ყოფილი ძონების აღეწველობა. აი ცურათი, მიუღიათ ათასი ტონნა:

| | რუსეთს | რუმინიას |
|---|---|---|
| 1913 წ.— | 9.247 | 1.885 |
| 1914 „— | 10.655 | 2.039 |
| 1916 „— | 9.933 | 1.820 |
| 1918 „— | 6,6 | 1.2 |
| 1919 „ | გაცილებით ნაკლები | |

ნავთის მხრივ ევროპაში ერთად ერთი და უმთავრესი ძალა რუსეთი და რუმინიაა. ავიღოთ ეხლა ოკეანეს გაღმა ახალი ეკონომიური კულტურის ქვეყნები, მიუღიათ:

| | ზ. შტატებში | მექსიკაში | ჰოლანდიის ინდოეთში |
|---|---|---|---|
| 1913 წ. — | 32.314 | 3.000 | 1.527 |
| 1916 „ — | 40.102 | 5.309 | 1.820 |
| 1919 „ — | 54.000 | 11.500 | + |

ეს საოცარი, პირდაპირი ფანტასტიური ზრდა ოკეანეს გაღმა ძლიერებისა თქვენ აიძულებთ გაიტკიცოს ის ძალა, რომელსაც ეს ახალი კულტურის ქვეყნები იჩენენ. ახალდებიან საკუთარი მრეწველობის და იპყრობენ ახალ-ახალ ქვეყნებს. ერთი საყურადღებო გარემოებაც არის. ძველი ეკონომიკის სამშობლო—ევროპა ისახავდა და იპყრობდა ველურ ხალხებს, ველურ ქვეყნებს მოტყუებით, ცეცხლით, ახალი ეკონომიური კულტურის სუბიექტები იპყრობენ ძველს, განათლებულს და ცნობილს ევროპას ტერიტორიით, ქაღალდით და ლითონით.

ნავთის მხრივ ამერიკამ უკვე საგრძნობით დაიმორჩილა ევროპა. მონოპოლიური უფლება მიიღო ამერიკულმა ტრესტმა „Standard Oil Company" რომლისგანაც ევროპამ აუცილებლად უნდა მიიღოს სახელმწიფოსათვის საჭირო ნავთის 60—70 პროც.

თვით ეს ზუსტერობზი მსოფლიოსი ნავთის წარმოების გაზრდით კიდევ ვერ აკმაყოფილებს საკუთარის მრეწველობის საჭიროებს მოთხოვნილებებს და თან და თან მეტ ნავთს ყიდულობს სხვა და სხვა ქვეყნებიდან. მექსიკიდან, მიუღიათ მილლიონი ბარელი.

| | | |
|---|---|---|
| 1913 | წელს | —10 |
| 1915 | „ | —16 |
| 1918 | „ | —41 |
| 1919 | „ | —50 |

1913—1919 წლების განმავლობაში ამერიკა სჭამდა არა თუ მთელს თავის ნავთს, არამედ 29 მილიონი ბარელი უცხოეთის ნავთიც (მექსიკის) შეუჭამია. მექსიკა ნავთის უდიდესი სამეფო ხდება.

1919—1920 წ. წ. აღმოჩენილ ნავთის ახალი წყაროების გამოყენება ჯერ სრულიადაც არ შეიძლება ვინაიდან 1920 წელში შესაძლო იყო მიეღოთ 500 მილ. ბარელი ნავთი რასაც მსოფლიოს ყველა სანავთე გემები არ ეყოფოდა.

ვის ხელშია ეს სიცოცხლის წყარო თანამედროვე კულტურისა?

მსოფლიოს მევახშე და ჩარჩი—ინგლისი ძალიან კარგად ხედავს თავის უბედურების დღეებს, მან კარგად იცის თუ რას ნიშნავს ნავთის ძალა წარმოებაში. ნავთის საკითხის გადაჭრა პირდაპირ დაუყენებს მის ძლიერების საფუძველს—სამხედრო და სავაჭრო ფლოტს და ამიტომ ინგლისის უმაღლესი დიპლომატია ყველაზე დიდ ყურადღებას ნავთის საქმეს აქცევს.

ციფრებს რომ თვალი გადავავლოთ ჩვენ ინგლისის მუშაობის სიმძაფრეს მყისვე შევამჩნევთ. ომამდე ნავთიანი ადგილების რაოდენობა 2 პროც. ეკუთვნოდა ყოფილა ინგლისის უფლების ქვეშ, ხოლო 1920 წლისათვის ინგლისს დაუპყრია ადგილების 60 პროც. ეს არის ბრძოლა ნავთიან ადგილებისათვის. რა ძალას წარმოადგენენ ეს ადგილები მომავალში—ჯერ თქმა არავის შეუძლია. ეხლა მხოლოდ ის უნდა აღვნუსხოთ რაც არის. მექსიკა, როგორც ნავთის მადნეულობის ისე აღმოსავლეთის ოკეანეს გაღმა ქვეყნების სავსებით ამერიკელების ხელშია და იქ ინგლისელებს გასაქანი არ მისცეს. მექსიკის ნავთის მრეწველობა უცხოელების ხელშია უმთავრესათ. ამოღებულ ნავთიდან 1918 წელში ეკუთვნოდა:

| | |
|---|---|
| ამერიკელებს | —73 პროც. |
| ინგლისელებს | —21 „ |
| ჰოლანდიელებს | 4 „ |
| ისპანელებს | —2 „ |

1919 წელში ინგლისელებმა მოახერხეს სუეციკაში ახალი წყაროების უფლების მიღება, სამაგიეროდ ამერიკამ თითქმის მესოპოტამიაში მუშაობის საშუალება სადაც ინგლისის ძალები იყო ხელში ჩამარხული თუ ამ მხრივ რუსეთის ოლქის რევოლიუციამ არ გაუშვა სიცოცხლე.

არ არის დღეს არც ერთი ქვეყანა სადაც განსაკუთრებულის ცხელ-ცხელეთი არ ღაუმეტეს თავის წყაროებს. საფრანგეთმა ლამის არის გადათქვას მთელი მაროკო და მადაგასკარი, საცა მიდა საფრანგეთიაც სწარმოებს დიდი მუშაობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ევროპის კონტინენტზე ნავთის წარმოება საოცრად ეცემა ყველგან. გალიციაში მიუღიათ:

| | | |
|---|---|---|
| 1913 | წ.—1.10 | მილ. ტ. |
| 1918 | „—0,77 | „ „ |
| 1919 | „—0,70 | „ „ |

ეს რაოდენობა გალიციის გაპარტახებულ წარმოებასაც ვერ კვებავს.

ამ გვარად, სათბობის მასალის მხრივ ჩვენ შევცვიძლია სრული, უტყუარი თანამედროვე სინამდვილე წარმოვიდგინოთ: გაძალებულ მუშაობის პროცესში, ბრძოლაში უპირველესი ადგილი უჭირავს საერთოდ ოკეანეს გაღმა ეკონომიკის ხორეს ქვეყნებს. ერთნულ ინგლისის მონებს, ნაყმევს, კერძოდ კი სათბობ მასალის ძებნა მსოფლიოში გამოავსთ ამერიკა. ამ გვარად ინგლისის ძლიერების მთავარი საფუძველი, კიდევ მეტი, მთელი ევროპის კაპიტალისტური წყობილების საფუძველი კატასტროფულ მდგომარეობაშია და ახლოვდება ის დრო, როდესაც არა თუ პროლეტარული წრეები, არამედ ბურჟუაზიული ძალებიც დაიწყებენ ყოფილ ყმების გაბატონებაზე და „ზასილიე"-ზე ლაპარაკს.

ვნახოთ ეხლა სხვა მხარეები მრეწველობისა. მრეწველობა-ვაჭრობისათვის, საეკონომიო პერსპექტივების გაშლისათვის ძალიან დიდი, გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ფულს, ფინანსიურ მხარეს. მონეტრნეული ვაჭრობით, ფულით და ნავთით დაიპყრო ევროპამ საერთოდ და კერძოდ ინგლისმა თითქმის მთელი მსოფლიო. მაგრამ რა მდგომარეობაშია ეხლა ფინანსიურად ომში გამარჯვებული ევროპა?

მოგეხსენებათ, ომამდე ინგლისი იყო არა მარტო მსოფლიოს დიდი საწყობი, არამედ მსოფლიოს ბანკირიც. თავისი კაპიტალის უდიდესი ნაწილი ინგლისს უცხოეთში და თავის მოხა-მორჩილ კოლონიებში გაქონდა. როგორ ნაწილდებოდა ინგლისის კაპიტალი ომამდე. მიაქციე ყურადღება, განაწილებულა

1911—1913 წ. ( 15-25% ინგლისში, ( 75-85 „ უცხოეთში.

ბიდეთ ეხლა უკანასკნელი ცნობა 1920 წლისათვის. განაწილებულა:

ინგლისში — 264 მილლ. გირ. სტ.
უცხოეთში— 30 „ „ „

როგორც ხედავთ, ფინანსიურად ინგლისი უკვე გამოდევნილია საერთაშორისო ბაზრებიდან, პირიქით, ფინანსიურად ის გაკოტრების ხაზში იყურება, ეცემა და როგორც ამ პროცესის დასასრული ქაღალდის ფულის დანერგვა ყუმ და ოქრო თვითონ ხდება, ვალი ჰქონდათ 1920 წლისათვის მილიონები:

| | 1913 წ. | 1920 წ. | |
|---|---|---|---|
| ინგლისს — | 706 | 7.882 | გ. სტ. |
| საფრანგეთს | 33.637 | 219.388 | ფრ. |
| ბელგიას — | 4.626 | 19.591 | „ |
| იტალიას | 15.281 | 78.107 | ლირა |
| გერმანიას— | 6.158 | 197.000 | მარ. |
| ავსტ.-უნგ. | 11.500 | 130.000 | კრ. |

საილუსტრაციოთ, როგორც ტიპიური მოვლენა ჩვენ ავიღოთ ინგლისი. საოცარი დავალებასთან ერთად ინგლისს ვალები ღდევთ ისეთი ქვეყნების, რომელსაც ოდესღაც ყმებად ქონდა. ინგლისს აქვს 1920 წლისათვის ვალი ათას გირ. სტ.:

| | |
|---|---|
| შ.-შტატების | —1.046.774 |
| კანადასი | — 73.419 |
| იაპონიის | — 7.170 |
| არგენტინის | — 19.200 |
| ურუგვაის | — 5.954 |
| ჰოლანდიის | — 743 |
| შვეციის | — 826 |
| ისპანიის | — 2.500 |
| სტრ.-ჰელტენ-მენტის | — 7.656 |
| სხვათა | — 113.972 |
| სულ | 1.277.214 |

ეს დიდი ვალი წელში ხრის და ანადგურებს ინგლისს, ძთავრობა იძულებული ხდება დააწვეს გადასახადის საქმეს და ცხოვრება გაუჭიროს მუშათა კლასს. გადასახადეზით ხოლები იფარებოდა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1914—1915 | წ.— | 226 | მ. გ. | სტ. |
| 1915—1916 | „ | 336 | „ „ | „ |
| 1918—1919 | „ | 889 | „ „ | „ |
| 1919—1920 | „ | 1,339 | „ „ | „ |

მეტის მეტად მძიმეა ანტანტის ქვეყნების ფინანსიური კონიუნქტურა. უბედურება ამ ქვეყნებისა სწორედ იმაშია, რომ უამრავი ქონება ჩაყარეს ომში, ხოლო ომის შემდეგ ვაი-ვაგლახით ადგებული ფულები მოახმარეს ისეთ უიმედო საქმეს, როგორც არის კონტრ-რევოლიუცია. აქ ანტანტას არა თუ სარგებლის იმედი არ აქვს, პირ-იქით სხვ-

ხით ამღებული თავნიც ღლუპება. 1919 წლის მეორე ნახევრისათვის კეინსის ცნობით ინგლისს გაუცია 1,740 მილ. გირ. სტერლინგი და აიეს ფული როგორ გაანაწილა და ვის მისცა:

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთს—508 | მილ. | გ. | სტ. |
| იტალიას —467 | „ | „ | „ |
| რუსეთს —568 | „ | „ | „ |
| ბელგიას — 98 | „ | „ | „ |
| სერბიას და სლავიას — 20 | „ | „ | „ |
| სხვა მოკავშ.— 79 | „ | „ | „ |

გაჭირვებულ საფრანგეთსაც დაუნაწილებია რიგიანად:

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსეთს — 160 | მ. | გ. | სტ. |
| ბელგიას — 90 | „ | „ | „ |
| იტალიას — 35 | „ | „ | „ |

არსებითად რუსეთმა და რუსეთის რევოლიუციამ საბოლოოდ გაუთხარეს ანტანტას. ვალების გაუქმებით რუსეთმა საოცარი გაჭირვება მიუძღვნა ანტანტას, ხოლო ანტანტის სულ ახალი სესხები საწარმოვო დარგების გარეშე გაცემული, რაიცა კიდევ მეტად უკარგავს გავლენას.

ვნახოთ ქვევით ფინანსიური მდგომარეობის სურათი ოკეანეს გაღმა ახალი ქვეყნების და შემდეგ გადავუშვრალოთ საბედისწერო ფურცლები დაღუპვისაკენ მიმქროლავ კაპიტალისტური ევროპისა.

თედო ღლონტი.

# ახალი ამბები

— ცხენოსანი მილიცია. თბილისის ქალ. რევკომის დადგენილების თანახმად დაიწყო თბილისის მილიციის უფროსის სამმართველოსთან შედგენა მილიციელთა ცხენოსან რაზმისა.

— ქურდობის შემცირება. თბილისის საუბნო კომისრების ყოველ დღიურ მოხსენებიდან ირკვევა, რომ უკანასკნელ ხანში ქურდობა და სხვა დანაშაულობა ქალაქში საგრძნობლად შემცირდა.

— ჩვენ აქ იმ ყოფნის დროს ოთახიდან სხვა ნივთებთან შორის დამეკარგა ერთი უსიამოვნო წიგნი, ხელთნაწერი, სათაურით: „მოგონებანი ქართული სუმთა ციმბირის ისტორიიდან" და ფოტოგრაფიული სურათი, რომელსაც აწერია: „Группа политических ссыльныхъ. г. верхаленекъ, 1917 г." ორივე შორის იყო ჩაკეცილი. თუ ვინმეს შემთხვევით ჩაუვარდა ხელში ან აქვს ჩაუვარდეს ეს სხვისთვის უსარგებლო საგნები, რაც ჩემთვის კი ძვირფასია, ვთხოვ დაბრუნოს „სოციალ.-ფედერალისტის" რედაქციის საშუალებით და სამაგიეროთ მივსაჩუქრებ. ზ. გურული.

— შაბათობა. ქ. ტფილისში საერთო შაბათობის მოწყობის მოლოდინში, ქალაქის ზოგიერთმა სახლის კომიტეტმა უკვე მოგვცეს შრომის ორგანიზაციის მოწყობილი მაგალითი. ამ დღეებში, ორჯონიკიძის ქუჩაზედ ერთ-ერთმა სახლის კომიტეტმა (სახ. კომ. № 1.) მოაწყო თავისთავად შაბათობა იმვიათის ორკესტრით და წესრიგით. დღის 4 საათზედ, როდესაც სახლის ყველა მცხოვრები თავის ბინაზედ იყო, გაისმა პირველი ზარის ხმა, რომელმაც აცნობა ბინის პატრონთ შაბათობის დაწყება. მეორე ზარის შემდეგ სახლის ყველა 80 მობინადრე შეიკრიბა ეზოში. ყველა, ქალი, კაცი, მოწაფე, მოზარდი თუ ბავშვი, ყველა იცნობს, ყველა იმიერული. გაისწრაფული ეზოს ლაგვა, ხაგვის უუთის გასუფთავება, ფეხის ადგილის ოქმონტი. საუბარი ყველა ხელში აქვს. დაიწყო შეთანხმებული, იმიერული მუშაობა, ისეთი როგორიც არის ყოველთვის ძალდაუტანებელი რაიმე საქმიანობა. ეზო მოკირწყლებულია. ხაგვის დიდ ყუთს ირგვლივ სდგანან სახლის ინტელიგენტი მობინადრეები, მოზარდი, მოწაფეები. საჩქაროთ იყრება ხაგვი ურემზედ ურემი პატარაა, ხელით გასაწევი, ხელით უნდა მიატარონ ხიდის პირს და გადაყარონ მთელი ხაგვი წყალში. ახალგაზრდობა მთავრულად ჰკიდებს ხელს ამ საქმეს.

ხაგვის ყუთი გაწმენდილია, ეზო მორწყული, ბინებზედ ყველა ნაკლი შეკეთებული. სახლის კომიტეტის პირველი შაბათობა შესრულებულია.

— მზრუნველობა ბავშვებზე. ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკული კომიტეტი ამ ზაფხულზე ყოფილ საზაფხულო საკრებულოს შენობაში აწყობს 6,000 ბავშვისათვის გასართობს, დღეში 1,000 ბავშვისათვის. გასართობის მოწყობა დავალებული აქვს ამხ. ივანე სუნდუკიანცს. ბავშვებს მიეცემა საუზმეთ—კაკაო, პური და რძე, ქალაქის ყველა სკოლის გამგეთა თათბირზე ამხ. კონიევის თავმჯდომარეობით დადგენილია გამოარკვიონ იმ მოსწავლეთა ნამდვილი რიცხვი, რომლებიც ძლიერ საჭიროებენ დახმარებას 6—11 წლამდე. გახსნებულ გასართობებში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის სკოლებიდან 5,000 ბავშვი და 1,000 ბავშვი იმ რიცხვიდან, რომლებიც სარგებლობენ ამერიკულ კომიტეტის უფასო სადილით.

— სამხატვრო განყოფილებაში. ხელოვნების განყოფილების კოლეგიამ დაადგინა სამხატვრო მნიშვნელობის საკონკურსო ყველა შენაკვეთი წარდგენილ უნდა იქნეს ხელოვნების განყოფილებაში. მიღება სახალხო განათლების კომისარიატის სამხატვრო განყოფილებაში სწარმოებს 10-დან 12-მდე. სამხატვრო განყოფილების საქმეთა მმართველის ძოვალეობის დროებით აღმასრულებლათ დანიშნულია ამხ. ბარათაშვილი.

— ტფილისის პოლიტეხნიკუმში. პოლიტეხნიკუმის რექტორის დრ. ადმ. პროფ. ტიტებულიძემ რექტორის მოვალეობის ასრულებაზე უარი განაცხადა. პროფესორთა საბჭომ აირჩია რექტორათ შემდეგ პირთაგან: ორდინარული პროფ. ს. ლ. ავალიანი, ორდინარული პროფ ი. ს. ტერეშევი და დოცენტი ა. ს. მაზოვი. რექტორატის თავმჯდომარეთ არჩეულია ს. ლ. ავალიანი. პოლიტეხნიკუმში მეცადინეობა შესწყდა ამა წლის 27 აპრილს 8 მაისამდე.

— წყალსადენი. ქალაქის წყალ-სადენის დირექციამ საქართველოს ს. ს. რ. რევკომისაგან მიიღო ცნობა, რომ აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობას თბილისის წყალსადენის საჭიროებისათვის შეუძლიან მისცეს ჯერ 500 ფუთი შაბი იმ საერთო რაოდენობიდან, რომელიც იყო შესყიდული ყოფილ ქალაქის გამგეობისაგან განჯაში კურპერმახის ქარხანაში.

— გადიდებული ულუფა. სახალხო განათლების კომისარიატის სამხატვრო განყოფილებამ სთხოვა სახალხო განათლების კომისარიატს, აღძრას შუამდგომლობა, რათა ხელოვნების მოღვაწეთ მიეცეს გადიდებული ულუფა.

— ხალხურ საზოგადოებაში. სამუსიკო საზოგადოების სამეცადინო სექციის გამგეთ დანიშნულია ამხ. საყვარელიძე.

— სახელმწიფო კონსერვატორიაში. კონსერვატორიის სამხატვრო საბჭოს დადგენილებით სახალხო განათლების კომისარიატის გამგეობის თანახმად მეცადინეობა კონსერვატორიაში შესწყდა აპრილის 27-ს. გამოცდები წელს მოსპობილია. გამოცდები დატოვებულია მხოლოდ იმათთვის, ვინც ათავებს კონსერვატორიას და ვინც გადადის უფროს კურსზე. დასამთავრებელი გამოცდები დაიწყება აღდგომის შემდეგ. კონსერვატორიის სამხატვრო საბჭოს დადგენილებით პროფესორის ხარისხი მიეცათ: ა. ზეილცოს, ა. ჯაყელს, ფ. ლოლოდო-პოლიაკოვს, მ. ვასილიევს, უფროს მასწავლებლებად დანიშნული არიან ს. ს. ცომაკიონი, ა. რეიმოვი, ლ. მიხაილსკაია, ე. ზასლავსკაია, მ. კანდელაკოვი და ს. ჩემოდანოვი.

— რევოლიუციონურ სამხედრო ტრიბუნალში. იგ-11 არმიის რევსამტრიბუნალის ამა 23 აპრილს სხდომაზედ თავმჯდომარე სკლიაროვსკის და ტრიბუნალის წევრთა შეყვლეგ და მარევის მონაწილეობით განხილული იყო საქმე სპეკულიანტი რომტის ზედამხედველის ქალის ე. პოლოვინკინისა, რომელსაც სურდა ეგეიონდა სამანქანო ქალის გაყიდვა. რევსამტრიბუნალმა ბრალდებულს მიუსაჯა საზოგადო იძულებით მუშაობა და სატუსაღო 1 წლის ვადით.

— ქართულ სამუსიკო სასწავლებელში. ქართულ სამუსიკო „სასწავლებლის სამხატვრო საბჭომ დაადგინა: სასწავლებელში მეცადინეობა გაგრძელდეს 31 მაისამდე. 1 ივნისისთვის დანიშნულია სამუსიკო აქტი. მუსიკალურ სასწავლებლების საბჭომ დაადგინა აღდგომის პირველ კვირას დაიწყოს მეცადინეობა სასწავლებლის პროლეტარულ საზაფხულო კურსებზე. გადაწყვეტილია დაიწყე იმათი ჩაწერა, ვისაც სურს ამ სურსებზე მასწავლებლობა. სასწავლებლის ბევრმა მასწავლებელმა გამოსთქვა სათანადო თანხმობა და სურვილი.

# პაპლმუქოფი

ზეფირო, წყნარად არხევ ფოთოლსა,
ნეტარება შენ, რა კარგი რამ ხარ,
თავისუფლად, რომ დაჰქრი ტყე-ველად,
მიტომ გულს მტაცებ, მიტომ მიყვარხარ!
აგრემც ეგ ლხენა ნუ მოაკლდება,
მრავალ ხანს ატკბე ეს არე-მარე;
შენთვის მთა-ბარი დამილოცნია,
მე კი სამარე... მხოლოდ სამარე!..

—

გრძელი სიცოცხლე, გრძელი ტანჯვაა,
მაგრამ სიკვდილი უარესია...
სიცოცხლევ, ნუ მკლავ! ერთხელ დავმტკბარვარ,
ათი ათასჯერ დამიკვნესია!
თითონ ჩავაქრე ჩემივე კერა:
სხვის მონობის ქვეშ სისხლ-ცრემლი ვღვარე;
იგი ამაღლდა, ჰყვავის, ნარნარებს,
მე-კი სამარე... მხოლოდ სამარე!..

—

რაცა მოვკვდები, ტიალი ბედი
ძლევისა დროშას აფრიალებს
და ის სინათლე, მე რომ მიყვარდა,
ბნელს გადააკრავს ჩემს მიმქნარ თვალებს!
არც დილის სიო, არც განთიადი,
აღარც მზის სხივი, აღარცა მთვარე
და აღარც ბრძოლა არსებობისთვის,
მარტო სამარე... მხოლოდ სამარე!..

—

განივლის დრონი, ხალხისა გული
შრომის წყურვილით განიმსჭვალება
და—ყით დღეს—მაშინ ჩვენი ცხოვრება
აღარ იქნება ამაოება!
შესაძლო არის სულმაც მოისრას:
ტანჯვა-წუხილი და გლოვა მწარე...
ოჰ, ნეტარება იმ დროის შვილებს,
მე კი სამარე... მხოლოდ სამარე!..

—

ზეფირო, წყნარად არხევ ფოთოლსა,
ნეტარება შენ, რა კარგი რამ ხარ;
თავისუფლად, რომ დაჰქრი ტყე-ველად,
მიტომ გულს მტაცებ, მიტომ მიყვარხარ!
აგრემც ეგ ლხენა ნუ მოგაკლდება,
მრავალ ხანს ატკბე ეს არე-მარე;
შენთვის მთა-ბარი დამილოცნია,
მე კი სამარე... მხოლოდ სამარე!..

ბ. ახოხპირელი.

# რადიო

გერმანია და ამერიკა.

(საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის განყოფილების საინფორმაციო ნაწილისაგან).

ნაუენი. გერმანიის კაბინეტმა ერთხმად მიიღო ახალი ნოტის ტექსტი ანაზღაურების შესახებ, რომელიც გუშინ გადაეცა შეერთებულ შტატების წარმომადგენელს ვაშინგტონში გასაგზავნათ. ეს ნოტა მივიდა დანიშნულ ადგილას. ამერიკის განსაკუთრებულ სურვილით ახალი წინადადება საქმართამდის არ იქნება გამოქვეყნებული. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში აქედან გამოჰყავთ დასკვნა, რომ ამერიკას არ პსურს ითამაშოს შიკრიკის როლი, არამედ სერიოზულად ეკიდება თავის შუამავლობითი მოქმედებას. ვაშინგტონის წრეები საკმაოსად ოპტიმისტურად იხილავენ ანაზღაურების საკითხს, და სწამთ შეთანხმების შესაძლებლობა.

შვეიცარიის პრესა, რომელზედაც ამერიკის და გერმანიის შუა ხიდების მიწერ-მოწერამ მოახდინა სასიამოვნო შთაბეჭდილება, გარდინგის ანგარიშს სთვლის უფრო საიმედოთ, ვიდრე მოსალოდნელი იყო. პრესა აფასებს მის დიდ მნიშვნელობას მთელ ქვეყნებისათვის იმედებით, რამდენადაც ეს საკითხი გადიჭრება არა ძალადობით, არამედ სამართლიანი აქტით. იტალიის საზოგადოება, სავსებით ეთანხმება ამერიკის ზრახვას შესახებ შუამავლობისა ანაზღაურების საკითხში.

ინგლისის კავალერია.

ნაუენი. ინგლისი მიიღებს მონაწილეობას რურის ბასეინის ოკუპაციაში ცხენოსანი კავალერიით და ტანკებით, რომელიც გაგრძელდება იმ ხანამდის, სანამდის გერმანია არ გადიხდის თავის ვალდებულებებს. წინააღმდეგ რეიტერის სააგენტოს ცნობისა, საფრანგეთის გაზეთები ხაზს უსვამენ ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგობას ახალ ძალმომრეობითი ზომების გამო. ლოიდ ჯორჯი ანგარიშს უწევს გერმანიის მთავრობის სისუსტეს და განსაზღვრულ მიმდ...მარეობას ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით ამერიკაში.

საფრანგეთის პრესას ეშინიან, რომ ამერიკა ჩაერევა საფრანგეთის პოლიტიკაში, რომლითაც საფრანგეთი მიისწრაფვის იქითკენ, რომ გერმანიის ქვეყანაში მოიგდოს ხელი, და ეს ჩარევა ბოლოს მოუღებს.

სოციალ მოღალატენი.

ბერლინი. 22-4 გერმანიის რეიხსტაგში გრძელდება კამათი დამოუკიდებელთა შეკითხვაზე სამხედრო სასამართლოების შესახებ. სოციალისტების პოზიცია გამოიხატა მათ ფრაქციულ ორატორის იშერის სიტყვაში, რომელმაც განაცხადა, რომ სოციალისტების უმეტესობა წინააღმდეგია სამხედრო სასამართლოების გაუქმებისა, რომელთა აუცილებლობას გვიკარნახებს კომუნისტური მოძრაობის ძალა. მთელი ბურჟუაზიული პრესა მიესალმება განცხადებას.

ინგლისის მაღაროს მუშათა გაფიცვა.

ლიონი. 23 4. გუშინ დაიწყო მოლაპარაკება მაღაროს მუშათა, მაღაროს პატრონთა და მთავრობის შორის. ლოიდ ჯორჯი სცდილობდა მიეღწია საშუამავლო ბელფასის ბირთვზე მსჯელობას, მაგრამ მაღაროს მუშები მალე ატანდნენ, რომ სისტემატიურ ხელფასისკენ გადასასვლელად უნდა მიღებულ იქნეს მირითადი პრინციპი ეროვნულ ტარიფისა და შემოსავლისა. მემამულეები წინადადებას აძლევენ, რომ კონფერენცია გადადებულ იქნეს ორი ზათამდე. ლონდონის პრესის აზრით შეთანხმება ამ საკითხზე მიღებულ იქნება.

ინგლისის გაფიცვის გამო

მოსკოვი. 25-4. (რადიო). ... ტარიფის დასამყარებლად სახელმწიფო მასშტაბით, მაღაროში მუშებმა მაინც უარჰყვეს მაღაროს პატრონთა წინადადებანი და განაგრძობენ გაფიცვას, დღეს ლონდონში ახლად შესდგება მოლაპარაკება მაღაროში მომუშავეებისა კაპიტალისტების და მთავრობის მონაწილეობით.

მძარცველობის მანია.

ჩიტა. 21-4. (რადიო) იაპონიის პრესა უკმაყოფილოა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ... საბჭოთა ... იაპონიის კამჩატკის დაჭერას.

ოსმალეთ-საბერძნეთის ომი

ლიონი. 25-4. ჰავასის სააგენტოს ცნობით, უშაკის ფრონტზე 3 დღის ბრძოლის შემდეგ ბერძნებმა კიდევ დამარცხება განიცადეს. ოსმალებმა წაიყვანეს მრავალი ტყვე. ბრუსსას ფრონტზე ბერძნები უკან დახევას განაგრძობენ.

ბრიანისა და ლოიდ-ჯორჯის შეხვედრა.

ლიონი, აპრილის 25. საფრანგეთის და ინგლისის პრემიერების პირველ შეხვედრას შაბათს გულითადი ხასიათი ჰქონდა. ხანგრძლივი საიდუმლო საუბარი, როგორც ჩანს ეხებოდა ზოგად საკითხებს. ორთავე პრემიერებმა ერთიანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებანი მთავრობის უკანასკნელ განცხადების თაობაზე, სახელდობრ მისი შუამდგომლობა ამერიკის წინაშე და სიმონსის ნოტისა შესახებ განსაკუთრებულ ადგილთა აღდგენის თაობაზე.

პრემიერთა საუბარი განახლდა კვირას დილის 10 საა. საათ. ბერტელოს გადასცა ინფორმაციები, რომელშიაც დაწვრილებით აღნიშნულია პარიზის შეხვედრის პროგრამა. ლოიდ-ჯორჯმა გამოსთქვა სიმპატია საფრანგეთისადმი, რომელიც ომიანობის დროს იძულებით ტანჯვის შემდეგ სამართლიანად ელის ანაზღაურებას. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა ახალ-დეპუტატების პრობლემისა უნდა ამიდეველობაში მიღებულ იქნეს გერმანიის მთავრობის სისუსტე და ორიენტაცია, რომელიც გამოიწვევს ზოგიერთმა ინგლისის წრეებმა. ლოიდ ჯორჯის აზრით ისეთი ზომები არა უნდა იქნას მიღებული, რომლებიც შესაძლებელი არ იქნას სწორედ გატებულია, გახსენებულითი ამერიკის ძალა.

# პარტიაში

მაისის 1-ლს საღამოს ხრულს იქნ საათზე დანიშნულია დრ. მთავარ კომიტეტის და ხაზრომებით ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეერთებული კრება გაზ. „სოციალისტ ფედერალისტის"-ს რედაქციაში. დასწრება სავალდებულოა.

რედაქტორი თედო ღლონტი.

გამომცემი ამ. ცენტრ. კომიტეტისა.

**დაჰკარგე** კოოპერატივის წიგნაკი სასურსათო ბარათი ექვსი სულისა მარიამ გოგიევი რაიც ჩაითვალოს გაუქმებულად. 918

**დაჰკარგე** პირადობის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ქთხოვთ ჩაითვალოთ გაუქმებულად სტუდენტი ალექსანდრე ვაჩნაძე. 924.

**დაჰკარგე** პასპორტი სიმონ ზურაბიშვილის დეალიშხიძის სახელზე, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 928

**დაჰკარგა** პირადობის მოწმობა № 597 გაცემული ... თბილისის უფროსისაგან ალექსანდრე არტემის ძე ლუარსაბიშვილი. 92.

**განცხადება** ამა აპრილის 15-ტს დაეკარგა მიღებული თბილისის საკომენდანტოდან „...“ № 1345. ყოფილი კაპიტან დავით ივანესძე ჯაფარიძის სახელობაზე რაიც ჩაითვალოს გაუქმებულად. 919

ყოფ. გიმნაზ. დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე

**ამზადებს**

**საშუალო სასწავლებლის**

ყოველ კლასში შესასვლელად და 4, 6 კლასის მოწმობაზე პლეხანოვის და ალექსის ქუჩ. კუთხე 25—5, 9—12 ს. 4—6 ს. 796